

## ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა

No 9

### თურქულ-ირანული დაპირისპირება ერაყის გამო

ზურაბ ბატიაშვილი

თურქეთსა და ირანს ბევრი საერთო ინტერესი აქვთ, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთსა და, კერძოდ კი, ერაყში (მაგალითად, მათ არ სურთ დამოუკიდებელი ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნა ჩრდილოეთ ერაყში და 3 წლის წინ ეს მცდელობა წარმატებით აღკვეთეს) და ამ საკითხებში ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ.

მაგრამ, მეორე მხრივ, რეგიონში არის მთელი რიგი საკითხებისა, სადაც ანკარისა და თეირანის ინტერესები არ ემთხვევა და ისინი აქ ერთმანეთის კონკურენტები ან ზოგჯერ მოწინააღმდეგეებიც ხდებიან ხოლმე.

მათ შორის ბოლო განხეთქილების ვაშლად იქცა ჩრდილოეთ ერაყში მდებარე ქ. მოსული და მისი შემოგარენი.

საქმე ისაა, რომ ერაყის ცენტრალური ხელისუფლება და მისი შეიარაღებული ძალები, რომელიც ძირითადად შიიტებითაა დაკომპლექტებული, მართალია, აკონტროლებს ძირითადად სუნიტებით დასახლებულ ქ. მოსულს, მაგრამ ტრადიციული შიიტურ-სუნიტური დაპირისპირების მატების პარალელურად იზრდება ადგილობრივი სუნიტური მოსახლეობისა და ელიტის უკმაყოფილების ხარისხი. ამას კი ემატება ძალზე მნიშვნელოვანი საგარეო ფაქტორები: სუნიტები კონფესიურად მონათესავე თურქეთზე, შიიტები კი ირანზე არიან ორიენტირებული.

თურქეთს, რომელიც გვევლინება სუნიტების უფლებების დამცველად რეგიონში, მოსულის რეგიონთან დიდი ხნის ისტორია აკავშირებს – მოსულის ვილაიეთი საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, იქ დღესაც ცხოვრობენ ეთნიკურად მონათესავე თურქმენები. მაგრამ თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის – მუსტაფა ქემალ ათათურქის დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს ნავთობით მდიდარი რეგიონი ვერ შევიდა 1923 წელს გამოცხადებული ახალი თურქეთის საზღვრებში.

მართალია, ერაყს მაშინ მოსულის სანაცვლოდ თურქეთი რესპუბლიკისთვის კომპენსაციის (25 წლის განმავლობაში აქ მოპოვებული ნავთობიდან მიღებული შემოსავლის 10%-ის შესაბამისი თანხა) გადახდა დაეკისრა, მაგრამ ერაყმა არც ეს თანხა გადაიხადა სრულად და ვერც თურქეთში მოიშუშეს ბოლომდე მოსულის დაკარგვით მიღებული ტრავმები. ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია თურქეთის ნაციონალისტური და კონსერვატიული ძალებისთვის, რომლებიც ახლა ხელისუფლებაში არიან და რომლის ზრახვების მიმართ თეირანში სერიოზული ეჭვები გაუჩნდათ.



*ერაყის ეთნოკონფესიული რუკა*

ირანისთვის კი მნიშვნელოვანია ერაყის, როგორც უმეტესად შიიტებით დასახლებული ქვეყნის, საკუთარი გავლენის ქვეშ სრულად მოქცევა. ამასთან, ქ. მოსული და მისი შემოგარენი ირანისთვის მნიშვნელოვანია მოკავშირე სირიასთან (ასადის რეჟიმთან) სახმელეთო კავშირის შენარჩუნების თვალსაზრისითაც.

ირანული მხარე კი განსაკუთრებით ანერვიულდა თებერვლის თვეში თურქეთის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეული PKK-ის („ქურთისტანის მუშათა პარტია“) წინააღმდეგ ჩრდილოეთ ერაყში წამოწყებული სამხედრო ოპერაციების გამო. ხოლო PKK-ის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, ქ. მოსულის დასავლეთით მდებარე ქ. სინჯარი და მისი შემოგარენია, რომელიც სირიას ესაზღვრება და შესაბამისად, პირდაპირ შედის ირანის ინტერესის სფეროში. ბოლო პერიოდში თურქეთში სწორედ სინჯარის რეგიონში დიდი

სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზეც ალაპარაკდნენ. ეს კი თეირანისთვის საყურადღებო სიგნალებია.

სიტუაცია ჯერჯერობით მხოლოდ დიპლომატიურ დონეზე დაიძაბა და მხარეები ერთმანეთის მიმართ სიტყვიერ პროტესტს დასჯერდნენ. თუმცა, ეს დაპირისპირება შესაძლოა გაღრმავდეს და უფრო მკვეთრი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ერთმანეთთან კონსულტაციისა და წინასწარი შეთანხმების გარეშე განაგრძობენ სამხედრო-პოლიტიკური სახის ნაბიჯების გადადგმას ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე. ამის ალბათობა კი ერთობ მაღალია.

ამასთან, გასათვალისწინებელი იქნება თუ რა პოზიციას დაიკავებს თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია, რომელიც, სავარაუდოდ, მალე გამოკვეთავს საკუთარ პოზიციას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.